მიგრაციის პროფილიდან EMN-ის ყოველწლიურ ანგარიშებამდე

მიგრაციის პროფილი

მიგრაციის პროფილი (პროფილი) წარმოადგენს ქვეყანაში მიგრაციული ტენდენციების ამსახველ საინფორმაციო-ანალიტიკური ტიპის დოკუმენტს. მასში ასახულია მიგრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ზოგადი სახითაა გაანალიზებული სხვადასხვა სფეროზე ზეგავლენის ჭრილში. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია ქვეყანაში მიგრაციის მართვის ინსტიტუციური ჩარჩო და *მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის* (მსსკ/კომისია) წევრი უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობა მიგრაციის სფეროში. *პროფილი*, როგორც წესი ახლდებოდა მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ, რაც იმ პერიოდში პრაქტიკული მიდგომებიდან გამომდინარე განისაზღვრა *ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის* (VLAP, 2013-2015) გრძელვადიანი (2016-დან დღემდე) ამოცანებით და *საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით.*

- საქართველოში პირველი *პროფილი* შემუშავდა IOM-ის მიერ 2008 წელს;
- 2010 წლიდან *პროფილის* შემუშავების პროცესი გადაიბარა ICMPD-იმ და 2011 წელს მოამზადა ადრეული ტიპის ე.წ *ვრცელი ფორმატის პროფილი*, რომელიც 2013 წელს უკვე საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყების კოორდინაციით განახლდა;
- 2013 წლიდან მსსკ-მ დაიწყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების საფუძველზე შექმნილი *პროფილების* დამოუკიდებლად მომზადება. ეს დიდწილად განაპირობა VLAP-ის განხორციელების დაწყებამ და *ასოცირების დღის წესრიგმა*;
- ე.წ *საშუალო ფორმატის პროფილის* (MMP) წარმოება მსსკ-მ 2015 წლიდან დაიწყო. ეს ფორმატი ქართულ ნოუ-ჰაუდ ითვლება და მოცემულ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მიგრაციის სფეროში ასეთი ტიპის დოკუმენტების წარმოება-პოპულარიზაციის საქმეში;
- 2015 წლის შემდეგ (2017, 2019 და 2021) რეგულარულად მზადდებოდა ასეთი *პროფილები*. ამასთან, დროთა განმავლობაში, მათი სტრუქტურა მნიშვნელოვნად მოდერნიზდა და მათში უფრო მეტი ყურადღება დაეთმო სტატისტიკური მონაცემების ვიზუალიზაციას;
- 2016 წლიდან სამდივნომ ასევე დაიწყო ე.წ *მოკლე ფორმატის თემატური პროფილების* შემუშავება (2016, 2018, 2020, 2022), რომელიც MMP-ის განახლებებს შორის შუალედურ წლებში მზადდება და ფოკუსირებულია კონკრეტულ თემატურ მიმართულებაზე;
- წინა წლებისგან განსხვავებით, 2021 წლის *პროფილის* სტრუქტურა და შინაარსი მნიშვნელოვნად შეიცვალა და იგი ნაწილობრივ გადაეწყო *მიგრაციის ევროპული ქსელის* (EMN) *მიგრაციისა და თავშესაფრის ყოველწლიური ანგარიშების* მოდელზე. ბოლო (2021) *პროფილში* წარმოდგენილია ის 10 მსხვილი თემატური მიმართულება, რომელიც სრულად მიესადაგება EMN-ის ანგარიშებს და ამავდროულად, დამატებულია ისეთი თემატური სექციები, რომლებიც რელევანტურია საქართველოსთვის;
- აღნიშნული მიდგომა განაპირობა 2021 წელს საქართველოს დამკვირვებლის სტატუსით გაწევრებამ EMN-ში, რომელიც მსგავსი ტიპის დოკუმენტებთან მიმართებით ანგარიშგების საერთო ევროპულ მოდელს იყენებს, რისი ნაწილობრივი რეპლიკაციაც მოხდა საქართველოში, 2021 წლის *პროფილის* სახით.

EMN-ის მიგრაციისა და თავშესაფრის ყოველწლიური ანგარიში

EMN-ის (ევროკავშირის წევრი 26 ქვეყანა დანიის გარდა) მიერ ყოველწლიურად მზადდება *მიგრაციისა და თავშესაფრის ანგარიშები*, სადაც წევრი ქვეყნების მიერ აღწერილია საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმები და პოლიტიკის განვითარებები. ინფორმაცია

ძირითადად წარმოდგენილია მიგრანტთა დანიშნულების ქვეყნის (იმიგრაციის) პერსპექტივიდან და უმეტესწილად ე.წ ნარატიული ნაწილისგან შედგება. *ანგარიშს* ასევე თან ახლავს *სტატისტიკური დანართი*, რომელშიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების იმიგრაციასთან და თავშესაფართან დაკავშირებული უახლესი სტატისტიკური მონაცემებია წარმოდგენილი. ყოველწლიური ანგარიშის *ე.წ მოკლე ვერსიას* წარმოადგენს *ქვეყნის მიმოხილვის დოკუმენტი* (Country Factsheet), სადაც თემატური მიმართულებების მიხედვით შედარებით მოკლედ და შეჯამებული სახითაა მიმოხილული მიგრაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი განვითარებები და დანართად ასევე ახლავს ბოლო რამდენიმე წლის სტატისტიკური მონაცემები.

- *EMN-ის მიგრაციისა და თავშესაფრის ყოველწლიური ანგარიში* მზადდება სპეციალური კითხვარის შევსების მეშვეობით, რომელსაც ამუშავებს ევროკომისია[1] და გამოსცემს კონსოლიდირებულ *ანგარიშს* (წევრი ქვეყნების მიერ მიწოდებული ინფორმაციის კომპილაციის საფუძველზე). *ანგარიშის* სტატისტიკურ დანართს ამზადებს ევროსტატი, საკუთარ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით;
- 2021 წლის ნოემბრიდან საქართველო პირველად ჩაერთო მიგრაციის და თავშესაფრის 2021 წლის, ანგარიშის მომზადებაში. კომისიის წევრი უწყებების მიერ შეივსო სპეციალური კითხვარი, რომელიც 2022 წლის თებერვალში წარედგინა ევროკომისიას. ანგარიშის საბოლოო ვერსია სტანდარტულად ყოველი წლის ზაფხულში ქვეყნდება და მისი პრეზენტაცია, როგორც წესი, ხდება EMN-ის დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

ახალი მიდგომები

გამომდინარე იქიდან, რომ EMN-ში გაწევრების შემდეგ მსსკ-ს პარალელურ რეჟიმში უწევდა შინაარსობრივად ძალზედ მსგავს *მიგრაციის პროფილზე*, EMN-ის *ყოველწლიურ ანგარიშებსა* და *ქვეყნის მიმოხილვის დოკუმენტებზე* მუშაობა, კომისიის წევრი უწყებებისთვის გაჩნდა თემატური გადაფარვების, ასევე სამუშაოს დუბლირების პოტენციური ალბათობა. სათანადოდ, გამომდინარე იქიდან, რომ EMN-ის ანგარიშების შემუშავება მნიშვნელოვნ როლს ასრულებს ასპირანტ ქვეყნებში ანალიტიკური პროდუქტების მომზადებისას ევროკავშირში აპრობირებული უახლესი მიდგომების და მეთოდოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით 2023 წლიდან მიგრაციის პროფილები ჩაანაცვლა უფრო მოდიფიცირებულმა, ყოველწლიურად განახლებადმა EMN-ის *მიგრაციის და თავშესაფრის ანგარიშებმა*. ამავდროულად გაგრძელდება *მოკლე ფორმატის თემატური პროფილების* წარმოებაც, რაც აპრობირებული პრაქტიკაა კომისიაში და უფრო განავრცობს მიმოხილვის არეალს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ანალოგიური *ანგარიშების* წარმოება მნიშვნელოვანია ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის პროცესში, იმ კუთხით, რომ EMN-ის *ყოველწლიური ანგარიშების* მომზადებით ქვეყანა გადაერთო ევროკავშირის ანგარიშგების მოდელზე და მიგრაციული სტატისტიკის წარმოების / გამოქვეყნების უახლეს მიდგომებზე, მაშინ როდესაც *მიგრაციის პროფილების* შემუშავება შედარებით მოძველებული მიდგომაა და იგი თავის დროზე ევროკავშირის ინიციატივით, ძირითადად, პოსტ საბჭოთა ქვეყნებისთვის შეიქმნა, რომელთაც ევროკავშირთან დაახლოების და თანამშრომლობის სხვადასხვა ინსტრუმენტები გააჩნდათ (*შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, პრაღის პროცესი, აღმოსავლეთ პარტნიორობა* და ა.შ.).

[1] EMN-ის საქმიანობას კოორდინაციას უწევს *ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატი.*